



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

სომხეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები 2021 წლის
ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ

ბენიამინ პოლოსიანი

168

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ბენიამინ ჯოლოსიანი

**სომხეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები 2021 წლის
ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ**

168

2021



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-3805-7

კონტექსტი

სომხეთში 2021 წლის 20 ივნისის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური კამპანია 2021 წლის 7 ივნისს დაიწყო. არჩევნებში 25 პოლიტიკური სუბიექტი იყო ჩართული – 21 პარტია და 4 ალიანსი (ბლოკი). სომხეთის უახლესი ისტორიის არცერთ არჩევნებში არ ყოფილა მეტოქეთა ამხელა რაოდენობა და ასეთი მრავალფეროვნება. ასეთი შთამბეჭდავი რიცხვის მიუხედავად, მხოლოდ რამდენიმე კანდიდატს ჰქონდა რეალური შანსი, რომ გადაეღობა პარლამენტში შესასვლელად საჭირო ბარიერი: 5 პროცენტი – პარტიებისთვის და 7 პროცენტი – ალიანსებისთვის.

2021 წლის ივნისის არჩევნები სომხეთში გამართული მეორე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია. პირველი 2018 წლის დეკემბერში ჩატარდა, „ხავერდოვანი რევოლუციიდან“ შვიდი თვის შემდეგ, რომლის შედეგადაც, ხელისუფლებაში პოლიტიკოსად ქცეული ჟურნალისტი ნიკოლ ფაშინიანი მოვიდა¹. 2019 წლის იანვრიდან 2020 წლის სექტემბრამდე ფაშინიანი შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდა. ის სრულად აკონტროლებდა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, ვინაიდან ალიანსს „ჩემი ნაბიჯი“ პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობა ჰყავდა. ფაშინიანის რეპუტაციას სერიოზული ზიანი ვერ მიაყენა ვერც მთავრობის მცდარმა ნაბიჯებმა კოვიდ-19-ის პირველი აფეთქების დროს 2020 წლის აპრილ-ივნისში და ვერც მკვეთრმა ეკონომიკურმა უკუსვლამ.

ხელისუფლებაში ფაშინიანის თაფლობისთვე 2020 წლის 27 სექტემბერს დასრულდა, როდესაც აზერბაიჯანმა არაღიარებული არნახის (მთიანი ყარაბაღის) რესპუბლიკის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია წამოიწყო. ომის შედეგი სომხებისთვის მართლაც კატასტროფული იყო. არნახმა კონტროლი დაკარგა 8500 კვადრატულ კილომეტრზე მეტ ტერიტორიაზე, მათ შორის, მთიანი ყარაბაღის ყოფილი ავტონომიური რეგიონის დაახლოებით 30 პროცენტზე. 4 000-მდე სომეხი ჯარისკაცი დაიღუპა, 10 000-ზე მეტი დაიჭრა და ასობით ადამიანი ჯერ კიდევ დაკარგულად ითვლება.

არჩევნებამდე შვიდი თვის განმავლობაში სომხეთმა რამდენიმე კრიზისი გამოიარა – პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვ. მთავარმა ოპოზიციურმა პარტიებმა „სამშობლოს გადარჩენის კომიტეტი“ დააარსეს. ისინი ფაშინიანის გადადგომასა და ეროვნული ერთიანობის დროებითი მთავრობის ჩამოყალიბებას

მოითხოვდნენ. ფაშინიანმა მათი უშუალო თავდასხმები წარმატებით მოიგერია თავისი კონტროლირებადი ჯარისა და სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით. 10 ნოემბრის განცხადების ხელმოწერის შემდეგ ფაშინიანმა პირველი კვირა თავდაცვის სამინისტროს ბუნკერში გაატარა, ამასობაში კი განრისხებული ხალხი მთავრობისა და პარლამენტის შენობებს უტყევდა².

შვიდი თვის შემდეგ სომხეთის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა ფაშინიანის გადადგომა მოითხოვა³, თუმცა ეს მუხტი ჩაცხრა და ფაშინიანმა ერთთვიანი პოლიტიკური მანევრირების შემდეგ გენერალური შტაბის უფროსის შეცვლა მოახერხა. თუმცაღა, აშკარა იყო, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალი იქნებოდა და 2021 წლის მარტის შუა რიცხვებში ფაშინიანმა ამავე წლის 20 ივნისს საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება გამოაცხადა⁴.

არჩევნებში ფაშინიანის მთავარო მეტოქე სომხეთის მეორე პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი იყო. ქოჩარიანი სომხეთს 1998-2008 წლებში მართავდა და საკამათო მემკვიდრეობა დატოვა. მან მოახერხა ეკონომიკის სტაბილიზება ქაოსური 1990-იანების შემდეგ, 2001-2007 წლებში კი მშპ-ის ორნიშნა ზრდა დაფიქსირდა. ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა მშენებლობები იყო და დივერსიფიკაციის ნაკლებობაც აშკარად შეინიშნებოდა. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ქოჩარიანმა გააღრმავა სტრატეგიული ურთიერთობები რუსეთთან და, პარალელურად, ევროატლანტიკურ ინსტიტუციებთან თანამშრომლობა დაამყარა. 2005 წელს სომხეთმა ხელი მოაწერა თავის პირველ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას ნატოსთან, სომეხი სამშვიდობოები განლაგებული იყვნენ ერაყსა და კოსოვოში, 2006 წლის მარტში კი აშშ-ის მთავრობის დაფინანსებულმა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ სომხეთის მთავრობასთან ხელი მოაწერა 235.6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულებას, რომელიც სოფლად სიღარიბის შემცირებას ისახავდა მიზნად⁵. ქოჩარიანის მმართველობა არჩევნების გაყალბების ფაქტებითაც გამოირჩევა – 2003 და 2008 წლების საპრეზიდენტო და 2003 და 2007 წლების საპარლამენტო არჩევნები. აღსანიშნავია მზარდი კავშირიც ბიზნესსა და სახელმწიფო აპარატს შორის. ქოჩარიანის მმართველობის ორი დიდი ლაქა იყო პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის სპიკერისა და სხვა თანამდებობის პირების მკვლელობა 1999 წლის 27 ოქტომბერს და სასტიკი შეტაკებები მომიტინგეებსა და პოლიციას შორის 2008 წლის 1 მარტს, რის შედეგადაც ათი ადამიანი დაიღუპა.

2021 წლის საარჩევნო კამპანია მაღალი დონის პოლარიზაციითა და ერთმანეთის შეურაცხყოფით მიმდინარეობდა. ფაშინიანს ქოჩარიანმა და სხვა მეტოქეებმა მოლაღატე და დამამცირებელი ტერმინი „კაპიტულანტი“ უწოდეს. ფაშინიანის მთავარი გზავნილი იყო მისი დაპირება 2021 წელს სომხეთში „ფოლადის რევოლუციის“ განხორციელების შესახებ⁶. მან ხალხს პირობა მისცა, რომ ხელახლა არჩევის შემთხვევაში, ის „ხავერდოვან“ მიდგომას „ფოლადის“ მიდგომით შეცვლიდა.

ქოჩარიანი ამომრჩეველს „ღირსეული მშვიდობის“ დამყარებას დაჰპირდა, თუმცა ამ კონცეფციას სიმკვეთრე აკლდა. ის ამტკიცებდა, რომ მოლაპარაკებების გზით არნახი შეძლებდა მთიანი ყარაბაღის ყოფილი ავტონომიური რეგიონის ტერიტორიების დაბრუნებას – მთელი ჰადრუთის რეგიონის, მარტაკერტისა და ასკერანის ზოგიერთი სოფლის, ასევე ქალაქ შუშის, თუმცა გაურკვეველი იყო, როგორ აიძულებდნენ აზერბაიჯანს ამის გაკეთებას. საშინაო საკითხებში ქოჩარიანის მთავარი კოზირი იყო მისი დაპირება 2001-2007 წლების შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდის განმეორების შესახებ.

ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ფაშინიანმა ხმათა უმრავლესობით დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვება შეძლო. „სამოქალაქო კონტრაქტის“ პარტიამ ხმათა 54 პროცენტი მიიღო. პარლამენტში ასევე შევიდა ორი ოპოზიციური ალიანსი – „სომხეთი“, ქოჩარიანის ხელმძღვანელობით, და სომხეთის მესამე პრეზიდენტთან სერჟ სარგსიანთან ასოცირებული „მე მაქვს ღირსება“, რომელთაც არანაირი ბერკეტი არ აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედებისთვის. ორივე ალიანსმა, ორ სხვა ოპოზიციურ პარტიასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით მიმართა. მიუხედავად ამისა, ყველა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ დაადასტურა, რომ არჩევნები მეტწილად დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად ჩატარდა. საკონსტიტუციო სასამართლომ არჩევნების შედეგები დაამტკიცა, 2021 წლის 2 აგვისტოს პრეზიდენტმა ფაშინიანი პრემიერ-მინისტრად ხელახლა დანიშნა⁷, ხოლო 2021 წლის 26 აგვისტოს კი პარლამენტმა ახალი მთავრობის ხუთწლიანი პროგრამა დაამტკიცა⁸.

აზერბაიჯანთან ურთიერთობა და ყარაბაღის მომავალი

სომხეთის ახალი მთავრობა სერიოზული საგარეო-პოლიტიკური გამოწვევების წინაშეა. ამ გამოწვევებს შორის აღსანიშნავია აზერბაიჯანელი ჯარისკაცების ყოფნა სომხეთის ტერიტორიაზე. უკვე ოთხ თვეზე მეტია, რაც აზერბაიჯანელი სამხედროები შეიჭრნენ სომხეთის ტერიტორიაზე, სიუნიკისა და გელარქუნიქის პროვინციებში და წასვლას არ აპირებენ. სომხეთმა დახმარებისთვის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას მიმართა, თუმცა რამდენიმეთვიანი განხილვის შემდეგ ორგანიზაციამ ეს სიტუაცია შეაფასა სასაზღვრო ინციდენტად, რომელსაც მის უფლებამოსილებასთან საერთო არაფერი ჰქონდა. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციისთვის მიმართვის პარალელურად, პრობლემის გადაჭრის მიზნით, სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის სამხსრივი მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს. სომხეთის მთავრობა, აზერბაიჯანელი სამხედროების სომხეთის ტერიტორიაზე წინსვლის პრევენციის მიზნით, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მეტი რუსი მესაზღვრის განთავსების მომხრეა.

ამავდროულად, შექმნილი ვითარება არის ნაწილი იმ დიდი პრობლემისა, რომელიც სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში 2020 წლის ომის შემდეგ გაჩნდა. აზერბაიჯანი ცდილობს საკუთარი თავი წარმოაჩინოს მშვიდობიან სახელმწიფოდ, რომელიც მზადაა ხელი მოაწეროს სამშვიდობო ხელშეკრულებას სომხეთთან და სათავე დაუდოს სტაბილურობისა და კეთილდღეობის ახალ ეპოქას სამხრეთ კავკასიაში. თუმცა, მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის „სულგრძელობა“ უანგარო არაა – სომხეთმა უნდა აღიაროს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვრებში და დაიწყოს დელიმიტაციისა და დემარკაციის შესაბამისი პროცესი, რაც ნიშნავს, რომ მან მთიანი ყარაბაღი (არნახი) აზერბაიჯანის ნაწილად უნდა ცნოს⁹.

აზერბაიჯანი ზრდის წნეხს სომხეთზე და უფრო ხშირად იყენებს იძულების დიპლომატიის მექანიზმებს. 14 ივლისს აზერბაიჯანელმა სამხედრომ ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვართან ძალიან ახლოს და ერევნიდან სულ რაღაც 60 კილომეტრში მდებარე სოფელ ერასხთან სომეხი ჯარისკაცი მოკლა. 28 ივლისს გელარქუნიქის პროვინციაში მორიგი ინციდენტის დროს კიდევ სამი სომეხი სამხედრო მოსამსახურე მოკლეს. ამით აზერბაი-

ჯანი სომხეთთან არასტაბილური სასაზღვრო ზონის გაფართოების მზადყოფნას გამოხატავს და იმედოვნებს, რომ სომხეთის ხელმძღვანელობას აიძულებს მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ნაწილად ცნონ.

კიდევ ერთი სერიოზული გამოწვევაა კომუნიკაციების აღდგენა რეგიონში. 2020 წლის 10 ნოემბრისა და 2021 წლის 11 იანვრის სამმხრივ ხელშეკრულებებში აღნიშნულია, რომ უნდა გაიხსნას ყველა კომუნიკაცია, მათ შორის ის მარშრუტები, რომლებიც დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციებს ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან აკავშირებს. ამის შემდეგ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ არაერთი განცხადება გააკეთა ე. წ. „ზანგეზურის დერეფნის“ შესახებ; დერეფანმა სომხეთის სიუნიკის პროვინცია უნდა გადაკვეთოს და დაუკავშირდეს თურქულ სამყაროს, რომელიც სტამბოლიდან ყაზახეთ-ჩინეთის საზღვრამდეა გადაჭიმული¹⁰.

აზერბაიჯანმა ახლახან დააარსა ახალი ეკონომიკური ზონები და ერთ მათგანს აღმოსავლეთ ზანგეზური უწოდა; ის მოიცავს იმ ტერიტორიებსაც, რომლებიც აზერბაიჯანის არმიამ 2020 წლის ომის შედეგად მიიღო. ამის შემდეგ მალევე პრეზიდენტმა ალიევმა ლაპარაკი დაიწყო დასავლეთ ზანგეზურზე (სომხეთის სიუნიკის პროვინციაზე), როგორც აზერბაიჯანის ისტორიულ მიწაზე, და პირობაც დადო, რომ აზერბაიჯანელები იქ დაბრუნდებოდნენ¹¹.

აზერბაიჯანის ამგვარი რიტორიკა სომხეთში ქმნის წარმოდგენას, თითქოს კომუნიკაციების აღდგენა აზერბაიჯანის რეალური ზრახვების საფარველია – მას სინამდვილეში სიუნიკის პროვინციაზე დე ფაქტო და შემდგომში დე იურე კონტროლის დამყარება სურს. ასეთი რისკების თავიდან აცილების მიზნით სომხეთის მთავრობამ აზერბაიჯანს უნდა შესთავაზოს ალტერნატიული მარშრუტები, რომლებიც მას ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დააკავშირებს და რომლებიც სიუნიკის პროვინციას არ გადაკვეთს. გაზახი-იჯევანი-ერევანი-ერასხი-ნახიჩევანის რკინიგზა და ავტომაგისტრალი აზერბაიჯანს ნახიჩევანის რესპუბლიკასთან სიუნიკის პროვინციის გადაკვეთის გარეშე დააკავშირებს. თუ აზერბაიჯანის ერთადერთი მიზანი კომუნიკაციების აღდგენაა, ის ამ შემთავაზებაზე უარს არ იტყვის. იჯევანი-გაზახის რკინიგზის გამოყენებას რუსეთიც შეძლებს და ის აზერბაიჯანისა და სომხეთის გავლით თურქეთსა და ირანს დაუკავშირდება. რუსული მატარებლები თურქეთში იჯევანი-გიუმრი-ყარსის სარკინიგზო ხაზით შევლენ, ხოლო ირანს იჯევანი-ერევანი-ერასხი-ნახიჩევანი-ირანის სარკინიგზო ხაზით დაუკავშირდებიან¹².

სომხეთის ახალი მთავრობის უმთავრესი გამოწვევა მთიანი ყარაბაღის მომავალია. ამ ეტაპზე სომხეთმა დე ფაქტო მოიხსნა ყარაბაღის უსაფრთხოების გარანტიის მოვალეობები. ის რეგიონს მხოლოდ ფინანსურ დახმარებას უწევს – იხდის ხელფასებს, პენსიებს და ფარავს ახალი სახლების მშენებლობის ხარჯებს. ყარაბაღში მცხოვრები სომხების უსაფრთხოება მთლიანად რუს სამშვიდობოებზეა დამოკიდებული. ამ პირობებში სომხები იქამდე იცხოვრებენ ყარაბაღში, სანამ იქ რუსი სამხედროები იქნებიან. სომხეთში ზოგიერთს სჯერა, რომ რუსები არასოდეს დატოვებენ ყარაბაღს და, შესაბამისად, სომხეთმა არ უნდა იდარდოს იმ სომხების უსაფრთხოებაზე, რომლებიც დე ფაქტო რუსულ პროტექტორატში ცხოვრებას განაგრძობენ, თუმცა ეს უკუღმართი ლოგიკაა. არ არსებობს იმის გარანტია, რომ რუსი სამხედროები ყარაბაღში სამუდამოდ დარჩებიან. მათ ეს ტერიტორია შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო დატოვონ, თუმცა სომხეთისთვის შედეგი იგივე იქნება – მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ან, საუკეთესო ვარიანტში, იძულებითი დეპორტაცია. ბევრი სომეხი ყარაბაღს რუსების გამგზავრებამდე დატოვებს. რთულია 21-ე საუკუნეში ხალხს სრულ გაურკვეველობაში ცხოვრება მოსთხოვო და მათ მხოლოდ იმის გარანტია მისცე, რომ არ გაჟლეტენ. მაშასადამე, სომხეთის მთავრობამ მკაფიო არჩევანი უნდა გააკეთოს. სომხეთმა ან საკუთარი ჯარის მოდერნიზაცია უნდა მოახდინოს, რათა შეძლოს ყარაბაღის დაცვა იქიდან რუსების პოტენციური გასვლის შემდეგ, ან არწახის სრული დაკარგვის პერსპექტივას შეეგუოს.

რუსეთთან ურთიერთობა

რუსეთთან ურთიერთობა ყოველთვის იყო სომხეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი. 1991 წელს სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, რუსეთი სომხეთის უმთავრესი პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირე იყო. ეს გადანყვეტილება რამდენიმე მიზეზს ეფუძნებოდა – გეოპოლიტიკა, ისტორია, დიდი სომხური თემი რუსეთში. რუსეთის სამხედრო ბაზა და მესაზღვრეები სომხეთში განლაგდნენ, ერევანი კი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს შეუერთდა. ამავდროულად, უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში, სომეხ და დასავლელ ექსპერტთა წრეებში გაბატონებული იყო აზრი სომხეთის რუსეთზე ზედმეტად დამოკიდებულების საშიშროების შესახებ. ბევრი მათგანი სომხეთს

მთლიანად რუსეთზე დამოკიდებულად მიიჩნევა და ცვლილებები-სკენ მოუწოდებდა.

2018 წლის გაზაფხულზე სომხეთში ხავერდოვანი რევოლუციისა და ნიკოლ ფაშინიანის პრემიერ-მინისტრად არჩევამ, ერთი შეხედვით, ზემოხსენებული ცვლილებებისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. რევოლუციამდე ერთი წლით ადრე ფაშინიანი სომხეთის მიერ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის დატოვებასაც განიხილავდა¹³. რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ახალი ელიტის ნაწილს აშკარა ანტირუსული და ანტიპუტინური მიდგომები ჰქონდა. ბევრი მათგანი საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა, სომხეთის ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანას ემხრობოდა და პრეზიდენტ პუტინის მიერ ავტორიტარული მმართველობისკენ გადახრას აკრიტიკებდა. ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯები – კრიმინალური გამოძიებები კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის იმდროინდელი მდივნის, გენერალ იური ხაჩატუროვის წინააღმდეგ; სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის, რობერტ ქოჩარიანის დაპატიმრება; სისხლის სამართლის საქმეები სომხეთში მოქმედი წამყვანი რუსული კომპანიების წინააღმდეგ – ეს ყველაფერი ისე აღიქმებოდა, როგორც სომხეთის მიერ რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებისკენ გადადგმული ნაბიჯები.

2018 წლის ბოლოდან მოყოლებული, სომხეთ-რუსეთის ურთიერთობების მომავლის განხილვისას, ძირითადი კითხვები ახალ მთავრობასთან რუსეთის სავარაუდო ქმედებებს ეხებოდა. თითქმის ყველა ექსპერტი თანხმდებოდა, რომ რუსეთს სომხეთზე ზენოლისთვის ორი მთავარი ბერკეტი ჰქონდა – ეკონომიკა და ყარაბაღი. მაშასადამე, არსებობდა მოლოდინი, რომ თუ სომხეთი თავის პოლიტიკას გააგრძელებდა, ორივე ფრონტზე ძლიერ საპასუხო დარტყმას მიიღებდა. თუმცა ყველაზე პესიმისტი ექსპერტებიც კი არ მოელოდნენ 2020 წლის სექტემბერში აზერბაიჯანის მიერ ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას, სომხეთის სრულ მარცხსა და კაპიტულაციას.

2020 წლის ყარაბაღის ომის დროს და შემდეგ ყველაზე ხშირად განიხილებოდა საკითხი, რომ აზერბაიჯანისთვის თურქეთის დახმარებით ომის დაწყების უფლების მიცემითა და სომხეთისთვის მხარდაჭერის დაუყოვნებლივ არ აღმოჩენით რუსეთს ჰქონდა ორი მიზანი: ეიძულებინა სომხეთი, დათანხმებოდა „ლაზროვის გეგმას“ და დაეფუძნებინა რუსული სამხედრო ბაზა სტეპანაკერტში და დაესაჯა ნიკოლ ფაშინიანი. საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზ-

რებით, სომეხი საზოგადოება კაპიტულაციას, დამცირებას, დიდ ტერიტორიულ და ადამიანურ დანაკარგებს ვერ შეეგუებოდა და 2020 წლის 10 ნოემბერს კაპიტულაციის ხელმოწერის შემდეგ ფაშინიანს ხელისუფლებიდან წასვლას აიძულებდა.

მიუხედავად ამისა, 2020 წლის 10 ნოემბრის განცხადების ხელმოწერის შემდეგ რუსეთი აღარ იყო იმდენად მონადინებული, რომ ფაშინიანის ხელისუფლებიდან წასვლისთვის ხელი შეეწყობა. პრეზიდენტმა პუტინმა ფაშინიანს უწოდა მამაცი და ჭკვიანი ლიდერი, რომელსაც თავისი ქვეყნისთვის რთული, თუმცა სწორი გადანიშნულებები ჰქონდა მიღებული. 2021 წლის 7 აპრილს პუტინი შეხვდა ფაშინიანს, შემდეგ 20 ივნისის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა, ხოლო 2021 წლის ივლისში კიდევ ერთხელ შეხვდა¹⁴.

10 ნოემბრის განცხადების შემდეგ სომხეთში რუსეთის პოლიტიკისა და ამ ქვეყნების ურთიერთობების მომავლის უკეთ განსაზღვრის მიზნით რეგიონში რუსეთის ძირითადი ინტერესები უნდა შევაფასოთ. რუსეთისთვის მთავარი იყო სტეპანაკერტში სამხედრო ბაზის დაარსება სომხეთისა და აზერბაიჯანის თანხმობით. ყარაბაღში რუსული პროტექტორატის რეალური საზღვრები კრემლს დიდად არ აინტერესებდა. გააკონტროლებს თუ არა რუსეთი ყოფილი მთიანი ყარაბაღის მთელ ავტონომიურ რეგიონს თუ მხოლოდ მის ნაწილს – რუსეთისთვის ორივე ვარიანტი თანაბრად მისაღებია.

რუსეთს აკმაყოფილებს რეგიონში არსებული სტატუს-კვო, რომელსაც ის თურქეთს უზიარებს. რუსეთი ასევე მხარს უჭერს რეგიონში კომუნიკაციების გახსნას, რაც აზერბაიჯანს, სიუნიკის რეგიონისა და ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის გავლით, სარკინიგზო გზითა და ავტომანქანების გზით თურქეთთან დააკავშირებს, სომხეთი კი აზერბაიჯანზე გამავალი სარკინიგზო ხაზით რუსეთსა და ირანს დაუკავშირდება.

ნიკოლ ფაშინიანის მთავრობა 2020 წლის 10 ნოემბრისა და 2021 წლის 11 იანვრის განცხადებების შესრულების გარანტია. მაშასადამე, ამ ეტაპზე ფაშინიანის გადაგდების მიზეზი რუსეთს არ აქვს. ფაშინიანმა სომხეთზე რუსეთის გავლენა გაზარდა და მისი მცდელობები უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე პრორუსად გამოცხადებული რობერტ ქოჩარიანისა და სერჟ სარგსიანის ქმედებები. რთულია იმის განსაზღვრა, ეს ყველაფერი შედეგი იყო ფაშინიანისა და კრემლის მიერ წინასწარ დაგეგმილი შეთანხმებისა თუ კრემლის 2018 წლის შემდგომი საძაგელი თამაშისა და ფაშინიანის არაკომპეტენტურობისა.

ამავდროულად, რუსეთი არაა დაინტერესებული სომხეთის ხელისუფლებაში ცვლილებების მომხრე ძალების მოყვანით, რაც ზემოხსენებული ორი განცხადების შესრულებას დააბრკოლებდა. კრემლისთვის უკეთესია ჰყავდეს სუსტი ფაშინიანი, რომელიც მზადაა შეასრულოს ყველაფერი, რასაც რეგიონის მომავლის თაობაზე კრემლი, თურქეთი და აზერბაიჯანი მოილაპარაკებენ.

შესაბამისად, უფრო სავარაუდოა, რომ მოკლე/საშუალოვადიან პერსპექტივაში კრემლი არ შეეცდება ფაშინიანის მოშორებას სომხეთის ხელისუფლებიდან. მოსკოვი ყველა თავის რესურსს გამოიყენებს ფაშინიანის პოზიციების შესასუსტებლად, რათა მან კრემლისთვის დაუმორჩილებლობაზე აღარც კი იფიქროს და აშშ-სა და ევროკავშირში ახალი მფარველების ძიებაშიც ხელი შეეშალოს.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ ექსპერტები ხშირად განიხილავდნენ რეგიონში დასავლური გავლენის შემცირების საკითხს. აშშ-სა და საფრანგეთს, ეუთოს მინსკის ჯგუფის ორ თანათავმჯდომარეს, 2020 წლის 10 ნოემბრის სამხრეთი (სომხეთ-აზერბაიჯან-რუსეთის) ხელშეკრულების შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია. ამავდროულად, სამხრეთი კავკასია უკვე დიდი ხანია არ ყოფილა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი. პოსტსაბჭოთა სივრცეში ვაშინგტონის ფოკუსი უკრაინა იყო, ზოგადად კი, 2010-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, ძირითადი ყურადღება აზია-წყნაროკეანეთისკენ იყო მიმართული.

2020 წლის ნოემბრის არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვების შედეგად, ერთი შეხედვით, სარბიელზე აშშ-ის ჩვეული საგარეო პოლიტიკა დააბრუნა. ცნება „ამერიკა დაბრუნდა“ ისე აღიქმება, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ამერიკის ჩართულობის გაზრდისათვის მზადყოფნა. ბაიდენი 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკას ისე ხედავს, როგორც ბრძოლას დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის, რაც, სავარაუდოდ, ავტორიტარული რუსეთის შეკავებისა და მისთვის წინააღმდეგობის განწევის მიზნით, პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის მეტ ჩართულობას გულისხმობს. 2021 წლის მარტში ახალი ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ „დროებითი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიულ სახელმძღვანელოში“ სიტყვა ‘დემოკრატია’, ალბათ, ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინია¹⁵. ამავე დოკუმენტში რუსეთი და ჩინეთი აშშ-ის მთავარ მოწინააღმდეგეებად არიან დასახელებული და ამ თვალსაზრისით, ისინი

განაგრძობენ „დიდი ძალების შეჯიბრების დაბრუნების“ პრინციპით მოქმედებას, რომელიც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების 2017 წლის სტრატეგიაში იყო ჩადებული. რუსეთი და ჩინეთი ამერიკისთვის უდიდეს საფრთხეებად იყო მოხსენიებული აშშ-ის სადაზვერვო საზოგადოების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისმა 2021 წლის აპრილში გამოაქვეყნა¹⁶.

აშშ არ მოისურვებდა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის გაზრდას; ამავდროულად, მას არ ძალუძს, რომ რეგიონში თავისთვის სასურველი გადანყვეტილებების მიღება აიძულოს. დიდი ალბათობით, აშშ შეინარჩუნებს ფრთხილ მიდგომას და რეგიონში რუსეთის გავლენის შემცირებას შეეცდება საქართველოსა და სომხეთში ლიბერალური რეფორმების მტკიცე მხარდაჭერით, მთავრობების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე ზემოქმედებისთვის კი ბერკეტად გამოიყენებს საკუთარ მონინავე პოზიციებს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მეშვეობით რეგიონში ევროკავშირის ჩართულობას აშშ ისე უყურებს, როგორც უმნიშვნელოვანეს დანამატს, რომელიც მხარს უჭერს მის დღის წესრიგს. აშშ ასევე მიესალმება ევროკავშირის ახლანდელ განცხადებას რეგიონული ძალებისთვის დახმარების ახალი პაკეტის შესახებ.

აშშ-ს სჯერა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა რეგიონის სახელმწიფოებს შორის არა მხოლოდ ხელს შეუწყობს ვითარების განმუხტვას, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგად მოიტანს სომხეთში რუსული გავლენის შემცირებას, რადგან ერევანს ნაკლებად შეეშინდება აზერბაიჯანისა და თურქეთის და, შესაბამისად, ნაკლები სტიმული ექნება იმისთვის, რომ მოსკოვთან სამხედრო კავშირები ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით, აშშ მხარს დაუჭერს საკომუნიკაციო მარშრუტების გახსნას სამხრეთ კავკასიაში და ეკონომიკური კავშირების შექმნას სომხეთ-აზერბაიჯანსა და სომხეთ-თურქეთს შორის.

აშშ-სომხეთის ურთიერთობები

ევროკავშირი სამხრეთ კავკასიას ყოველთვის ისე განიხილავდა, როგორც ევროპას, შუა აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის მდებარე მეზობელ ტერიტორიას. სამხრეთ კავკასია ევროკავშირის სასიცოცხლო ინტერესების ნაწილი არასოდეს ყოფილა, თუმცა ევროპელები არ იყვნენ გულგრილი რეგიონის ბე-

დის მიმართ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებს მოაწერა ხელი, მოგვიანებით კი რეგიონზე აღმოსავლეთის სამეზობლო პოლიტიკა გაავრცელა. ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობის მომდევნო ეტაპი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა და პროგრამაში სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ჩართვა იყო. 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას; 2013 წელს სომხეთი, რუსეთის ზენოლის შედეგად, იძულებული გახდა, უარი ეთქვა ასოცირების შეთანხმებაზე, აზერბაიჯანი კი არასოდეს ყოფილა ამ დოკუმენტის ხელმოწერით დაინტერესებული. მიუხედავად ამისა, სომხეთმა 2017 წლის ნოემბერში წარმატებით მოახერხა ევროკავშირთან ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის ხელშეკრულების ხელმოწერა¹⁷, რომელიც 2021 წლის მარტში შევიდა ძალაში. აზერბაიჯანი კი, სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების ხელმოწერის მიზნით, ევროკავშირთან მოლაპარაკებებს განაგრძობს. ევროკავშირს არასოდეს წარმოუდგენია თავი მტკიცე გეოპოლიტიკურ მოთამაშედ რეგიონში; მას ერჩივნა ემოქმედა, როგორც ნორმატიულ ძალას, რომელიც კანონმდებლობის, სტანდარტებისა და პროცედურების ჰარმონიზაციის გზით რეგიონის ქვეყნების ევროკავშირთან დაახლოებას ცდილობს.

2020 წლის ყარაბაღის ომმა რეგიონში სტატუს-კვო რადიკალურად შეარყია. მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთისა და ნაწილობრივ თურქეთის გავლენა სომხეთსა და აზერბაიჯანში. კრემლმა დიდი ხნის ნანატრ მიზანს მიაღწია - ყარაბაღის მიწაზე ფეხი დადგა და, ამასთანავე, სომხეთში თავისი სამხედრო ყოფნა გაზარდა. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირმა რეგიონში მნიშვნელოვანი აქტივობები წამოიწყო. 27 მაისს ლისაბონში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ სამიტზე გადაწყდა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის მხარდაჭერის განმტკიცების მიზნით ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ჩართულობა გაიზარდებოდა¹⁸.

2021 წლის 2 ივლისს ევროკომისიამ და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა მომდევნო წლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობისთვის პრიორიტეტის მინიჭების თაობაზე წინადადება წარმოადგინა¹⁹. საწყის ეტაპზე, პროექტი გულისხმობდა 1.6 მილიარდი ევროს ღირებულების დაფინანსებას სომხეთისთვის,

140 მილიონ ევროს – აზერბაიჯანისთვის, ხოლო 1.175 მილიარდ ევროს – საქართველოსთვის; ეს თანხები მოიცავდა გრანტებს, სესხებს, გარანტიებსა და დანამატებს.

ევროპის საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი სამხრეთ კავკასიას 2021 წლის 17-19 ივლისს ეწვია. სომხეთში ვიზიტისას პრეზიდენტმა მიშელმა ევროკავშირის 2.6 მილიარდი ევროს ღირებულების ფინანსური დახმარების პაკეტი დაადასტურა²⁰. მან გამოკვეთა ოთხი პრიორიტეტი, რომლებსაც, მისი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონში მეტი სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევის მიზნით. ეს პრიორიტეტებია: რიტორიკის შერბილება, სადავო საზღვრების დელიმიტაცია, რეგიონში სატრანსპორტო თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვა და სამშვიდობო მოლაპარაკებებისკენ სვლა.

ევროკავშირი რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობისა და კავშირების დამყარების ხელშეწყობას ცდილობს და იმედოვნებს, რომ ეს სამომავლოდ კონფლიქტებს შეამცირებს. სამხრეთ კავკასიაში დახმარების ყველაზე დიდი პაკეტის სომხეთისთვის გადაცემის გადანყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს იმ ფაქტს, რომ სომხეთმა 2020 წლის ომის გამო ყველაზე დიდი ზარალი მიიღო და მას სტატუს-კვოს შეცვლის უფრო მეტი სტიმული აქვს. ევროკავშირს სწამს, რომ სომხეთის საშუალო-სტატისტიკური მოქალაქისთვის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებით სტატუს-კვოს შეცვლის იდეა სომხებში ნაკლებად პოპულარული გახდება, რადგან ისინი არ მოინდომებენ ახლადმიღწეული ეკონომიკური კეთილდღეობისთვის საფრთხის შექმნას, რაც, შესაბამისად, რეგიონში ფარდობით სტაბილურობას შეუწყობს ხელს. ამავდროულად, ევროკავშირს არ ძალუძს სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე რეალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არც აზერბაიჯანელი ჯარისკაცებისთვის სიუნიკისა და გელარქუნიქის პროვინციების დატოვების იძულება და არც სროლის შეჩერება სხვა სასაზღვრო სოფლებში, მაგალითად, არარატის პროვინციაში მდებარე ერასხში, რომელიც ერევნიდან მხოლოდ 57 კილომეტრითაა დაშორებული.

სომხეთ-ირანის ურთიერთობები

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სომხეთი ყოველთვის ისე აღიქვამდა ირანს, როგორც მეგობარ სახელმწიფოსა და ახლო პარტნიორს. სომხეთი აფასებდა ირანის დაბალანსებულ მიდგომას ყარაბაღის 1992-1994 წლების ომში. 1990-იანი წლების

დასაწყისში, როდესაც აზერბაიჯანმა და თურქეთმა თავიანთი საზღვრები ჩაკეტეს, ხოლო საქართველოზე გამავალი გზები შიდა არეულობის გამო უსაფრთხო აღარ იყო, სომხეთ-ირანის საზღვარი ნამდვილ სასიცოცხლო ხაზად იქცა. სომხეთმა და ირანმა, ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, მეგობრული ურთიერთობები ყარაბაღის ომის შემდეგაც განაგრძეს. სანიმუშო პროექტად იქცა სომხეთ-ირანის გაზსადენი, რომელიც 2007 წლის მარტში ამოქმედდა²¹. ორმხრივი გაცვლის ხელშეკრულების თანახმად, სომხეთი ირანთან გაზის იმპორტსა და ელექტროენერჯის ექსპორტს ახორციელებს; სქემის მიხედვით, სამ კუბურ მეტრ გაზს სომხეთი საათში ერთი კილოვატი ელექტროენერჯის სანაცვლოდ იღებს.

სომხეთში 2018 წლის „ხავერდოვანმა რევოლუციამ“ ირანში გააჩინა იმის შიში, რომ „პროდასავლურ“ ძალებს, რომლებიც სომხეთის ხელისუფლებაში მოვიდნენ, შესაძლოა, სომხეთი ამერიკის ანტიირანული აქტივობებისთვის სასტარტო პლატფორმად ექციათ. 2019 წლის თებერვალში სომხეთის პრემიერ-მინისტრი თეირანს ეწვია და ხაზი გაუსვა ახალი სომხური მთავრობის მზაობას ირანთან მეგობრული ურთიერთობის გაგრძელებისთვის²². ამ ვიზიტმა ირანის ექვები გაფანტა და ორმხრივი ურთიერთობები ჩვეულ რიტმს დაუბრუნა.

სომხეთის პოლიტიკურ და ექსპერტთა წრეებში სჯეროდათ, რომ აზერბაიჯან-ისრაელის მზარდი თანამშრომლობა და სხვადასხვა ანტიირანული აქტივობისთვის ისრაელის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის გამოყენების შესახებ ცნობები ირანს აიძულებდა, რომ ყარაბაღში სტატუს-კვოს ცვლილებისთვის ხელი შეეშალა. რადგანაც 2020 წლის 27 სექტემბერს აზერბაიჯანმა ფართომასშტაბიანი ომი წამოიწყო, სომხეთში ბევრს სჯეროდა, რომ ირანი საჯაროდ დაგმობდა აზერბაიჯანს. სომხეთი იმედოვნებდა, რომ ცნობები თურქეთის მიერ ირანის საზღვრის გასწვრივ ათასობით დაქირავებული მეზობლის განლაგების შესახებ გაამძაფრებდა ირანის შიშს. ყველა ამ გათვლის მიუხედავად, რეალობა სრულიად სხვა აღმოჩნდა. ირანის ხელისუფლებამ მოლაპარაკებების გაგრძელებისკენ მოუწოდა, თუმცა ომის დაწყების გამო მას აზერბაიჯანი არ დაუგმია, ხოლო უზენაესმა ლიდერმა აიათოლა სეიდი ალი ხამენეიმ განაცხადა, რომ ყველა აზერბაიჯანული ტერიტორია უნდა განთავისუფლდეს და, საბოლოო ჯამში, აზერბაიჯანს დაუბრუნდეს²³.

ომის განმავლობაში და შემდეგ ირანის პოზიცია სომეხი ექსპერტებისა და საზოგადოებისთვის უსიამოვნო სიურპრიზი იყო. სომხეთში დამკვიდრებული მოსაზრების საპირისპიროდ, როგორც ჩანს, ირანს სტატუს-კვოს ცვლილებები და მთიან ყარაბაღთან საზღვრის დაკარგვა სულაც არ ანუხებდა. ამ პოზიციამ სომხეთში დაბნეულობა გამოიწვია. ირანი ასევე მიესალმა პრეზიდენტ ალიევის შემოთავაზებას რეგიონული თანამშრომლობისთვის 3+3 ფორმატის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ირანი, რუსეთი, თურქეთი) შექმნის შესახებ. ამავედროულად, სომხეთმა ეს მიიღო, როგორც რეგიონში აშშ-ისა და ევროკავშირის როლის შესუსტების მცდელობა და რუსეთსა და თურქეთს შორის სამხრეთ კავკასიის გაყოფის ლეგიტიმაცია.

ახალმა მთავრობამ სერიოზულად უნდა გადახედოს სომხეთის რეგიონულ პოლიტიკას, რათა დაუპირისპირდეს გამონწევებს და შეინარჩუნოს კონტროლი სიუნიკის რეგიონზე. ამ თვალსაზრისით, ირანთან ურთიერთობის მომავალი უაღრესად მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ სომეხი საზოგადოება იმედგაცრუებულია 2020 წლის ყარაბაღის ომში ირანის პოზიციის გამო, სომხეთმა უნდა შეიმუშაოს მკაფიო სტრატეგია, რათა ირანთან ურთიერთობის განვითარება განაგრძოს. ჩინეთ-ირანის ბოლოდროინდელი საინვესტიციო შეთანხმება, ასევე ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა და ირანს შორის მუდმივი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების მოსალოდნელი ხელმოწერა სომხეთისთვის ირანთან ურთიერთობას აშკარა პრიორიტეტად აქცევს. ყარაბაღის ახლანდელი ომის შედეგის მიმართ ირანის პოზიციისა და პრეზიდენტ ერდოღანის მმართველობისას ირან-თურქეთის ურთიერთობების საგრძნობი გაუმჯობესების მიუხედავად, ირანის ინტერესებში არ შედის, რომ სომხეთი თურქეთზე სრულად დამოკიდებული გახდეს და რეგიონში თურქეთი გაბატონდეს.

2020 წლის მარცხის შემდეგ თავისი რეგიონული პოლიტიკის აღსადგენად სომხეთმა, პირველ რიგში, ირანსა და რუსეთს უნდა შესთავაზოს სომხეთი-ირანი-რუსეთის სამხრეთი თანამშრომლობის ფორმატის დაარსება, რომელიც აზერბაიჯანი-ირანი-რუსეთისა და აზერბაიჯანი-ირანი-თურქეთის ფორმატების მსგავსი იქნება. სომხეთმა, შესაძლოა, ირანსა და რუსეთს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსის მოპოვებაში ხელშეწყობაც სთხოვოს (ორგანიზაციაში დიალოგის პარტნიორის სტატუსი სომხეთმა 2016 წელს მოიპოვა). სომხეთმა ირანელ და

ჩინელ კოლეგებთან ჩინეთ-ირანის საინვესტიციო შეთანხმების პროექტებში სომხეთის ჩართვის შესაძლებლობის საკითხიც უნდა განიხილოს. თუ ერევანი რეგიონულ გეოპოლიტიკაში რაიმე მნიშვნელოვანი როლის შესრულებას გეგმავს, მაშინ სომხეთი საკუთარ თავს ირანთან გაუცხოების უფლებას ვერ მისცემს.

საქართველოსთან ურთიერთობა

სომხეთსა და საქართველოს ურთიერთობების დიდი ისტორია აქვთ. ორივე იყო ასევე ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ - საბჭოთა კავშირის ნაწილი. საბჭოთა ისტორია სავსეა სომხეთ-საქართველოს მეგობრული შეჯიბრების ამბებით. საბჭოთა კავშირის დაშლამ ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია შექმნა. შედეგად, ორივე ქვეყანა რუსეთისა და თურქეთის რეგიონული მეტოქეობის წინა ხაზზე აღმოჩნდა; ამას დაემატა ახალი მოთამაშეებიც, როგორებიცაა აშშ, ევროკავშირი და ჩინეთი. მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებმა კი სომხეთსა და საქართველოს არაერთი დაბრკოლება შეუქმნა.

საქართველოს ევროატლანტიკურმა მისწრაფებებმა, რომლებიც ადრეულ 2000-იან წლებში პრეზიდენტმა შევარდნაძემ დანერგა, ხოლო 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განავითარა, საქართველო აშკარად დაუპირისპირა რუსეთს. ამასობაში სომხეთმა, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში შესვლის გზით, რუსეთთან სტრატეგიული ალიანსი დაამყარა და გიუმრიში რუსული სამხედრო ბაზაც დააფუძნებინა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებისთვის მორიგი მძიმე გამოწვევა იყო. ერევანმა და თბილისმა კატასტროფის თავიდან არიდება მოახერხეს. სომხეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ აღიარა და 2009 წლის ივნისში პრეზიდენტმა სარგსიანმა პრეზიდენტი სააკაშვილი ღირსების მედლითაც კი დააჯილდოვა²⁴.

მიუხედავად ამისა, სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებს სტრატეგიული თანამშრომლობის დონისთვის არასოდეს მიუღწევია. რეგიონში საქართველოს მთავარი პარტნიორები აზერბაიჯანი და თურქეთი იყვნენ. საქართველო აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ტრანზიტული ქვეყანა გახდა, რითაც ეკონომიკური სარგე-

ბელი მიიღო. 2012 წლის ივნისში ამ ქვეყნებმა დააფუძნეს სამ-მხრივი თანამშრომლობის მექანიზმი, რომელიც მათი საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრითა და ტრაპიზონის დეკლარაციის ხელმოწერით დაინყო²⁵. 2014 წლის მაისში თანამშრომლობა პრეზიდენტების დონემდე ავიდა.

სომხეთთან აზერბაიჯანისა და თურქეთის მტრული პოლიტიკის გათვალისწინებით, საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობა სომხეთს ვერ გაახარებდა და ვერც სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებში შეიტანდა რაიმე წვლილს. მიუხედავად ამისა, სომხეთმა და საქართველომ გარკვეულ წონასწორობას მიაღწიეს – სომხეთი საქართველოს ტერიტორიას თავისი ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებისთვის იყენებს, არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და თვალს ხუჭავს საქართველოში აზერბაიჯანისა და თურქეთის მზარდ ეკონომიკურ გავლენაზე. საქართველო კი სომხეთის სატრანზიტო მომსახურებისთვის ფინანსურ სარგებელს იღებს და, ამავდროულად, ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანის პოზიციას ემხრობა. სომხეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები ყოველთვის დაბალ დონეზე იყო. ბოლო ათწლეულში საქართველოს შავი ზღვის კურორტები დაბალი/საშუალო შემოსავლის მქონე სომხებისთვის ზაფხულში დასვენების „მექა“ გახდა, თუმცა ცალმხრივი ტურიზმისა და სატრანზიტო სერვისების გარდა, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

2020 წლის ყარაბაღის ომმა და მისმა შედეგებმა რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური ვითარება შექმნა. ომის დროს საქართველომ ნეიტრალიტეტი ოფიციალურად გამოაცხადა და სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის თავის ტერიტორიაზე საჰაერო და სახმელეთო ტრანზიტი შეაჩერა. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის სატვირთო თვითმფრინავები თითქმის ყოველდღიურად ასრულებდნენ ფრენებს თურქეთიდან და ისრაელიდან აზერბაიჯანამდე, საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებით. სამართლებრივად, საქართველოს არ ჰქონდა იმის მიზეზი, რომ ეს ფრენები აეკრძალა ან შემოწმების მიზნით მათი თბილისში დაშვება მოეთხოვა. მიუხედავად ამისა, ზოგადად, 2020 წლის ყარაბაღის ომის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკა შეიძლება აღინეროს, როგორც ნეგატიური ნეიტრალიტეტი სომხეთის მიმართ, რაც სომეხი ექსპერტებისთვის მოულოდნელობა არ ყოფილა. ეკონომიკურად საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თურქეთსა და აზერბაიჯანზე

და ამ ქვეყნებთან ურთიერთობას სომხეთის დასაკმაყოფილებლად არ დააზიანებს. არც ერევანს დაუხარჯავს დიდი ძალისხმევა, რომ ორმხრივი მოლაპარაკებების თუ აშშ-ისა და ევროკავშირის ჩართვის გზით საქართველო წნეხის ქვეშ მოექცია სამხედრო ტვირთის საკითხის გამო.

ყარაბაღის ომის შედეგებმა საქართველოში რამდენიმე მიზეზის გამო გამოიწვია შეშფოთება. თბილისს ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების განლაგება აღელვებს და ამას ისე აღიქვამს, როგორც მორიგ ნაბიჯს რეგიონში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისკენ. სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის კომუნიკაციების გახსნამ საქართველოს, შესაძლოა, რუსეთ-სომხეთსა და აზერბაიჯან-თურქეთს შორის ერთადერთი სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი ჩამოართვას.

პრეზიდენტ ალიევის შემოთავაზებას რეგიონული 3+3 ფორმატის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ირანი, რუსეთი, თურქეთი) დაარსების შესახებ საქართველოში აღფრთოვანება არ გამოუწვევია. თბილისი ამ ფორმატს ისე აღიქვამს, როგორც რეგიონში აშშ-ისა და ევროკავშირის როლის შესუსტებისა და რეგიონის დახურულ სივრცედ გადაქცევის მცდელობას, სადაც გადანყვებილებს რუსეთი და თურქეთი იღებენ, ირანი კი მხოლოდ დროგამოშვებით ერთეუბა პროცესში.

2021 წლის 8 სექტემბერს სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი საქართველოს ეწვია და მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სომხეთის მზადყოფნას საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობების განვითარებისთვის. მხარეებმა ასევე განიხილეს სამხრეთ კავკასიის მომავალი და სომხეთის ახალი მთავრობის ხედვა რეგიონში მშვიდობის ეპოქის დაწყების შესახებ²⁶.

მზარდი დაძაბულობა ახალ გამყოფ ხაზებთან, თავის მხრივ, მულტიპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბების პროცესზე ზემოქმედებს. სამხრეთ კავკასია შეიძლება რუსეთსა და აშშ-ს შორის ერთ-ერთ ასეთ სადავო ტერიტორიად გადაიქცეს. აშშ-რუსეთის ურთიერთობების განვითარებაზე ბევრია დამოკიდებული. თუ აშშ გააგრძელებს რუსეთისა და ჩინეთის ერთდროული შეკავების პოლიტიკას, პოსტსაბჭოთა სივრცე, მათ შორის, სამხრეთი კავკასია, აშშ-რუსეთის სასტიკი მეტოქეობის არენად გადაიქცევა. ამ სცენარში სომხეთ-საქართველოს საზღვარი შეიძლება ახალი გამყოფი ხაზი გახდეს. შიდაპოლიტიკური მოვლენების მიუხედავად, საქართველო დარჩება აშშ-ის გავლენის სფეროში, სომხეთი კი – რუსეთის გავ-

ლენის სფეროში; პარალელურად, თურქეთი მოსკოვისა და ვაშინგტონის დაბალანსებას შეეცდება და ნატოს წევრობას შეინარჩუნებს. ამ მოვლენებმა სომხეთ-საქართველოს ურთიერთობები შესაძლოა გაართულოს, რა შემთხვევაშიც დადებითი ცვლილებები ნაკლებად სავარაუდო იქნება.

მეორე სცენარით, რუსეთი და აშშ შესაძლოა შეთანხმდნენ გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხებზე, მათ შორის, პოსტსაბჭოთა სივრცის გეოპოლიტიკაზე. აშშ-მ სამხრეთ კავკასიაში შეიძლება შეწყვიტოს რუსეთისთვის აქტიური წინააღმდეგობის განწევა და, სანაცვლოდ, მეტწილად თურქეთს დაეყრდნოს და რეგიონში მხოლოდ არაპირდაპირი ჩართულობა შეინარჩუნოს. ამ შემთხვევაში რეგიონი, ძირითადად, რუსეთ-თურქეთის მეტოქეობის არენა იქნება. კრემლი და ანკარა რეგიონში თავიანთი ეკონომიკური გავლენის გაზრდას ახალი საინტეგრაციო პროექტების მეშვეობით შეეცდებიან. ამ გიგანტებს შორის ნაკლები გეოპოლიტიკური დაპირისპირება სომხეთისა და საქართველოსთვის ცხოვრებას გაამარტივებდა, მათ თავიანთ საშინაო საქმეებზე კონცენტრირების საშუალებას მისცემდა და სომხეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებსაც გააჩენდა.

შენიშვნები

1. “Pashinyan Alliance Scores ‘Revolutionary Majority’ In Landslide Armenian Win,” <https://www.rferl.org/a/armenian-elections-pashinian-my-step-sarkisian-hhk/29645721.html>.
2. “Armenian Protesters Storm Government Buildings After Cease-Fire Deal with Azerbaijan,” <https://www.rferl.org/a/protests-erupt-in-yerevan-after-agreement-to-end-fighting-in-nagorno-karabakh/30940061.html>
3. “Armenia’s Armed Forces Demand Resignation of PM and Government: Ifax,” <https://www.reuters.com/article/us-armenia-politics-pashinyan-idUSKBN2AP0WQ>
4. “Armenia to Hold Snap Elections on June 20,” <https://www.civilnet.am/news/573631/armenia-to-hold-snap-elections-on-june-20/?lang=en>.
5. “Compact Signing Ceremony with Armenia,” <https://www.mcc.gov/news-and-events/video/video-signing-armenia>
6. “No More Velvet: Armenia’s PM Nikol Pashinyan Promises a ‘Steel’ Revolution,” <https://emerging-europe.com/news/no-more-velvet-armenias-pm-nikol-pashinyan-promises-a-steel-revolution/>
7. “Nikol Pashinyan Appointed Armenia’s Prime Minister,” <https://en.armradio.am/2021/08/02/nikol-pashinyan-appointed-armenias-prime-minister/>,
8. “Armenian Parliament Approves Government’s Five-Year Action Plan,” <https://www.azatutyun.am/a/31429306.html>
9. “President Ilham Aliyev was interviewed by CNN Turk TV channel-FULL TEXT,” <https://apa.az/en/xeber/official-news/president-ilham-aliyev-was-interviewed-by-cnn-turk-tv-channel-full-text-355814>
10. “Zangezur Corridor to Strengthen Ties with Turkey: Azerbaijani President,” <https://www.aa.com.tr/en/turkey/zangezur-corridor-to-strengthen-ties-with-turkey-azerbaijani-president/2258671>.
11. “What’s the Future of Azerbaijan’s ‘Ancestral Lands’ in Armenia?,” <https://eurasianet.org/whats-the-future-of-azerbaijans-ancestral-lands-in-armenia>.
12. Benyamin Poghosyan, “If Azerbaijan Wants to Open Transport Links in the South Caucasus it Needs to Avoid the Term ‘Zangezur Corridor,” <https://karabakhspace.commonsense.eu/opinion/opinion-if-azerbaijan-wants-open-transport-links-south-caucasus-it-needs-avoid-term>.
13. “Opposition Bloc Demands Armenia’s Exit from Eurasian Union,” <https://www.azatutyun.am/a/28724786.html>
14. “Meeting with Acting Prime Minister of Armenia, Nikol Pashinyan,” <http://en.kremlin.ru/events/president/news/66161>
15. “Interim National Security Strategic Guidance,” <https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2021/03/03/interim-national-security-strategic-guidance/>.

16. "2021 Annual Threat Assessment of the US Intelligence Community," <https://www.dni.gov/index.php/newsroom/reports-publications/reports-publications-2021/item/2204-2021-annual-threat-assessment-of-the-u-s-intelligence-community>
17. "EU-Armenia: Signing Ceremony of the Comprehensive and Enhanced Partnership Agreement," <https://newsroom.consilium.europa.eu/videos/eu-armenia-signing-ceremony-of-the-comprehensive-and-enhanced-partnership-agreement>
18. "Informal Meeting of Foreign Affairs Ministers - Gymnich, May 27, 2021," <https://www.consilium.europa.eu/en/meetings/fac/2021/05/27/>
19. "Eastern Partnership: A Renewed Agenda for Recovery, Resilience and Reform Underpinned by an Economic and Investment Plan," https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_21_3367.
20. "EU's Michel Reaffirms Hefty Aid Package for Armenia," <https://www.azatutyun.am/a/31363856.html>
21. "Armenia and Iran Open Gas Pipeline," <https://www.gtreview.com/news/global/armenia-and-iran-open-gas-pipeline/>
22. "RA Prime Minister Nikol Pashinyan's Official Visit to Iran," [https://www.primeminister.am/en/foreign-visits/item/2019/02/27/visit-to-iran/.](https://www.primeminister.am/en/foreign-visits/item/2019/02/27/visit-to-iran/)
23. "Iran's Leader Says all Azerbaijani Territories Under Armenian Occupation Must be 'Liberated,'" <https://caspiannews.com/news-detail/irans-leader-says-all-azerbaijani-territories-under-armenian-occupation-must-be-liberated-2020-11-4-0/>
24. "Georgian President Visits Armenia," <https://www.azatutyun.am/a/1761973.html>
25. "Trabzon Declaration of the Ministers of Foreign Affairs of the Republic of Azerbaijan, Georgia and the Republic of Turkey, June 8, 2012," Trabzon, https://www.mfa.gov.tr/trabzon--declaration-of-the-ministers-of-foreign-affairs-of-the-republic-of-azerbaijan_-georgia-and-the-republic-of-turkey_-08-june-2012_-trabzon.en.mfa
26. "Agenda of Opening Peace Era in the Region Was the Core of the Discussion Between the Prime Ministers of Armenia and Georgia: Joint statement of Nikol Pashinyan and Irakli Gharibashvili," <https://www.primeminister.am/en/press-release/item/2021/09/08/Nikol-Pashinyan-Irakli-Gharibashvili/>